# ლადო პაპავა დახმარებას ამერიკას სთხოვს

ნანა მიშელაშვილი

უმრავლესობის ყოფილი წევრი ლადო პაპავა ამერიკის ადმინისტრაციას და საქართველოში ამერიკის საელჩოს პარლამენტიდან განცხადებით მიმართავს. ამერიკისათვის მიმართვა პაპავამ საქართველოს რკინიგზასთან დაკავშირებით გადაწყვიტა და მათ რკინიგზის რეაბილიტაციის საკითხში დახმარება სთხოვა.

— მივმართავ ჩვენს მეგობრებს, ვთხოვ ამერიკელებს, გამოიჩინონ ის მხარდაჭერა, რომელსაც ყოველთვის გრძნობდა საქართველო და ჩაერიონ ამ პროცესებში. მოიძებნოს ის თანხები, რაც საკმარისი იქნება რკინიგზის რეაბილიტაციისთვის, ხოლო მისი რეორგანიზაცია-პრივატიზაციის საკითხი საერთოდ იქნეს დღის წესრიგიდან მოხსნილი. ეს მხოლოდ ჩვენს მეგობრებს, ამერიკელებს ხელეწიფება და მე ამ თხოვნით მივმართავ მათ, — განაცხადა დეპუტატმა პაპავამ.

ლადო პაპავამ 2006 წელი გაიხსენა, როდესაც მაგისტრალურ გაზსადენთან დაკავშირებული საკითხი იდგა და მაშინ „გაზპრომთან" მიმდინარეობდა მოლაპარაკება.

— სწორედ ამერიკელების ჩარევა იყო გადამწყვეტი, რომლებმაც ათასწლეულის გამოწვევის პროგრამიდან 49 მილიონ 500 ათასი გამოყვეს, რის საფუძველზეც საქართველომ მოლაპარაკება შეაჩერა „გაზპრომთან" და გაზსადენი საქართველოს დარჩა. დღეს ანალოგიური პრობლემა დგას, არანაკლებ მნიშვნელოვანი და მწვავე, რომელიც რკინიგზის თემას ეხება, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ლადო პაპავამ განცხადება გააკეთა, შეეხება ეროვნულ ბანკს. პაპავამ დეპუტატებს მიმართა, რომ მისი გაფრთხილება გაითვალისწინონ, როცა ეროვნული ბანკთან დაკავშირებულ საკითხს პარლამენტში განიხილავენ.

— დღეს ჩვენ ვდგავართ მორიგი საფრთხის წინაშე, ეს შეეხება ეროვნულ ბანკს. დღესაც დარწმუნებით გვიმტკიცებენ, რომ რა ცვლილებებიც არის მომზადებული, ეს მხოლოდ სასიკეთოა, მაშინ, როდესაც არანაკლები საფრთხე გვაქვს, ვიდრე ეს საფრთხე იყო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან. ანტიმონოპოლიური სამსახურის გარეშე ქვეყანაში ძალიან ცუდი ვითარებაა კონკურენციის თვალსაზრისით, მაგრამ ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობა, ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მოხდეს თუ იმ ცვლილებებს მივიღებთ, რომელსაც მთავრობა ამზადებს ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით, — ასე მიმართა დეპუტატებს ლადო პაპავამ.

ლადო პაპავამ 2004 წელი გაიხსენა, როცა პარლამენტში იხილებოდა კანონმდებლობა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმებულიყო. მის ნაცვლად მთავრობამ პარლამენტს შესთავაზა კონკურენციის ხელშეწყობის სამსახურის შექმნა.

— მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც აღვნიშნავდი, ეს ნაბიჯი არ იყო სწორი, მაინც ეს ნაბიჯი იქნა გადადგმული. 2007 წლის შემოდგომაზე ყველამ ვიხილეთ მთავრობის სხდომა ტელეეთერში, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა საკმაოდ მწვავედ დააყენა საკითხი მონოპოლიების არსებობის შესახებ და შეაქო შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ მან მარილზე მონოპოლიის თემა დაძლია, — აღნიშნა ლადო პაპავამ. ეს ყველაფერი პაპავამ იმიტომ გაიხსენა, რომ ეთქვა: „მთავრობის ის წევრი, რომელმაც თავის დროზე გამოიტანა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმების საკითხი, მთავრობის ამ სხდომაზე იჯდა და მას არანაირი საყვედური არავისგან არ მიუღია". გუშინ პაპავას მთავრობის იმ წევრის გვარი და არ უთქვამს, თუმცა დეპუტატებს მიმართა, რომ მის განცხადებაზე ყურადღება გაამახვილონ.

პაპავას ნინო ბურჯანაძემ უპასუხა — პარლამენტის თავმჯდომარე მომხრეა, რომ ეროვნული ბანკის მაქსიმალური დამოუკიდებლობა შენარჩუნდეს.

— ეროვნული ბანკი უნდა იყოს ერთი მხრივ დამოუკიდებელი, მაგრამ, ამავდროულად აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს და მას ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე აუცილებლად შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. იგი მიიჩნევს, რომ ყველა შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა პარლამენტის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული, ასევე ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება უნდა ხდებოდეს პარლამენტის მიერ.

— რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტს გარკვეული კონტროლის ბერკეტები ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით აუცილებლად დარჩება, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ და იქვე დასძინა, რომ ეროვნული ბანკის დასუსტება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ნინო ბურჯანაძე პაპავას დაპირდა, რომ პრემიერ-მინისტრთან ამ საკითხზე საუბარი ექნება.